ოქმი:**ო63. 6323090001**
თარიღი:**31/03/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

საფინანსო -საბიუჯეტო საკითხთა კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი N3

ქ. სამტრედია 28 მარტი,

2023 წელი.

მიმდინარე წლის 28 მარტს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მერაბ უღრელიძის, თავმჯდომარეობით ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მერაბ უღრელიძე, ბექა თევზაძე, ჯონი ახობაძე, ტარიელ ცომაია, დავით ჯანელიძე, ირაკლი მელაშვილი, გოჩა არველაძე, აკაკი მინაშვილი, გივი ჯულაყიძე, ვაჟა სტურუა, ქეთევან კუტალაძე.

მოწვეული სტუმრები:

1 .ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ბუღალტერი ციცინო ქაჯაია.

2 .ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სათნოების სახლი“-ს ბუღალტერი ნათია ასლანიშვილი.

3. შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს ბუღალტერი ნონა ქორიძე.

4. საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების უფროსი მარინე ანდღულაძე.

5. საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვის, ფორმირების და საფინანსო ზედამხედველობის საკითხებში მაკა სეხნიაშვილი.

6. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი დავით ბაღდავაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1.არასამეწარმეო(არაკომერციული)იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2023 წლის პროგრამისა და მისი

განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.632235516 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

2.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“-ს 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.632235510 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

3.,,შ.პ.ს. სპორტული-კომპლექსი სამტრედია“-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების 2023 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.632235524 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

4.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს 2023 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.632235528 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

5. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

კენჭი ეყარა დღის წესრიგს წარმოდგენილი სახით.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 11(თერთმეტი) ხმით დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის N62-6222308175 22/03/2023წ. წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება ა.(ა)ი.პ. „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2022 წლის 21 დეკემბრის # გ-63.632235516 განკარგულებით დამტკიცებულ 2023 წლის სუბსიდიის გეგმაში შიდა მუხლობრივი ცვლილების შეტანას, კერძოდ შრომის ანაზღაურების მუხლის შემცირებას 3.00 ათ.ლარით, შესაბამისად სხვა ხარჯის მუხლის გაზრდას 3.00 ათ.ლარით. ასევე ითხოვს ცვლილებას 2023 წლის საშტატო განრიგსა და სახელფასო ფონდში, კერძოდ ექთნის ერთი შტატის თანხით 330 ლარით თვეში შემცირებას, სულ 3.00 ათ.ლარით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 11 (თერთმეტი) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის N62-622305423 23/03/2023წ. წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება ა.(ა)ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი“-ს 2022

წლის 21 დეკემბრის # გ-63.632235510 განკარგულებით დამტკიცებულ 2023 წლის სუბსიდიის გეგმაში შიდა მუხლობრივ ცვლილებას და მოწესრიგებას, კერძოდ საქონელი და მომსახურეობის შემცირებას 1.00 ათ.ლარით და შესაბამისად სოციალური უზრუნველყოფის გეგმის გაზრდას 1.00 ათ.ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 11(თერთმეტი) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2023წ. 22/03 N62-6222308182 წერილობითი მომართვა. ა.(ა)ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“-ს 2023 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით საკუთარ შემოსავლებიდან ნაშთის სახით დარჩა 7.08 ათ.ლარი, შესაბამისად ითხოვს ცვლილების შეტანას 2022 წლის 21 დეკემბრის # გ-63.632235528 -ით დამტკიცებულ 2023 წლის განკარგულებაში და ნაშთის გადანაწილებას სხვადასხვა მუხლებში, კერძოდ საქონელი და მომსახურეობის გაზრდას 5.58 ათ.ლარით (მ.შ. ოფისის ხარჯი 4.58 ათ.ლარით; სხვა საქონელი და მომსახურეობა 1.0 ათ.ლარით) და არაფინანსური აქტივები 1.5 ათ.ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 11 (თერთმეტი) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2023წ.22/03/ N62-6222308176 წერილობითი მომართვა. შ.პ.ს.“ სპორტული კომპლექსი სამტრედია „ ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიის ხარჯებით უზრუნველყოფს ნორჩ ფეხბურთელთა გუნდების სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობას. უახლოეს მომავალში გუნდები განაგრძობენ შეჯიბრებას სხვადასხვა ტურნირებში. ასევე ცენტრალური საფეხბურთო მოედნის ბუნებრივ საფარს ესაჭიროება სხვადასხვა მინერალების შეტანა. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შ.პ.ს. „სპორტული კომპლექსი სამტრედია „ ითხოვს 2022 წლის 21 დეკემბრის # გ-63.632235524 განკარგულებით დამტკიცებულ 2023 წლის ხარჯებში ცვლილების შეტანას, კერძოდ საქონელი და მომსახურეობის მუხლიდან ოფისის ხარჯის შემცირებას 3.5 ათ.ლარით; წარმომადგენლობითი ხარჯის 0.5 ათ.ლარით; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობიდან კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ხარჯის 20.0 ათ.ლარით და სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურეობაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის 0.5 ათ.ლარით. შესაბამისად რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირადი ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების გაზრდას 25.0 ათ.ლარით; შრომის ანაზღაურების მუხლის გაზრდას 2.10 ათ.ლარით, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის მოვლა-შენახვის ხარჯების 1.9 ათ.ლარით.

აზრი გამოთქვა: ტარიელ ცომაიამ და ნონა ქორიძემ.

ტარიელ ცომაია - გთხოვთ, განგვიმარტოთ დეტალურად, კერძოდ, რომელ დანართში ხდება აღნიშნული ცვლილება.

ნონა ქორიძემ განმარტა, რომ **-** 2022 წლის 21 დეკემბერს Nგ-63-2235524 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა დანართი N3-ში შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი სამტრედია“-ს საშტატო ერთეული. რომელშიც პუნქტი 27-ით განსაზღვრული არის 9 (ერთეული) ფეხბურთის მწვრთნელი 500 ლარიანი სახელფასო ფონდით. წარმოდგენილ განკარგულების პროექტში საშტატო ერთეული არ იცვლება. რჩება 9 ერთეული. მხოლოდ 1(ერთი) საშტატო ერთეულის ფეხბურთის მწვრთნელის (ადმინისტრატორის) ხელფასი გაიზარდა 200 ლარით და გახდა 700 ლარი თვეში. შესაბამისად სახელფასო ფონდიც გაიზარდა და გახდა

381 040 ლარი. ასევე გასასწორებელია დანართი N3-ში სახელფასო ფონდის ოდენობაც. ამიტომ დაევალოს შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი სამტრედია“-ს წარმომადგენელს, საკრებულოში წარმოადგინოს განკარგულების პროექტის კორექტირებული ვერსია.

კომისიის წევრებმა გაითვალისწინეს წარმოდგენილი განმარტება და მხარი დაუჭირეს საკითხის ბიუროს სხდომაზე გატანას.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 11 (თერთმეტი) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2023 წლის 24/02/ N62-6222305551 წერილობითი მომართვა. საკითხი ეხება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. კერძოდ;

გაიზარდა - შემცირდა

გაიზარდოს შემოსავლების გეგმა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტი - 12.4 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს **05 01 01 კოდი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს - 12.4 ათ. ლარით (საცურაო აუზის ჰიდროსაიზოლაციო და წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის);

„საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2022 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 მარტის N545 განკარგულების საფუძველზე სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო კაპიტალური გრანტი 100.0 ათასი ლარი. შესაბამისად გაიზარდოს **02 03 03 კოდი სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების გეგმა - 100.0 ათ. ლარით.

მუხლობრივი ცვლილებები:

- **05 01 01 კოდი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 0,5 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა (ექსპერტიზის მომსახურება).

- **02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 113,0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს **02 04 კოდი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების** საქონელი და მომსახურების გეგმა 15.0 ათ. ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების გეგმა - 98.0 ათ. ლარით (სულ - 113.0 ათ. ლარი)

- **02 04 კოდი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების** საქონელი და მომსახურების გეგმა შემცირდეს - 524.8 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების გეგმა.

- **04 03 კოდი აიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს - 5.0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის სუბსიდიის გეგმა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 11 (თერთმეტი) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2023 წ.24/02/ N62-6222305551 წერილობითი მომართვა. საკითხი ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და“ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 70-ე მუხლის შესაბამისად, 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი, თანხით 18757,8 ათასი ლარის ოდენობით.

ადგილობრივი შემოსულობები განისაზღვრა 17098,6 ათასი ლარით, მათ შორის:

- საგადასახადო შემოსავლები - 15356,1 ათასი ლარი.

- სხვა შემოსავლები -1742,5 ათასი ლარი.

- არაფინანსური აქტივების ზრდა - 0 ათასი ლარი.

თორმეტ თვეში ბიუჯეტის მიმართ ათჯერ განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 37124,4 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 18366,6 ათასი ლარით.

- საგადასახადო შემოსავლები განისაზღვრა -17175,0 ათასი ლარით.
- სხვა შემოსავლები განისაზღვრა - 2775,6 ათასი ლარით.
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 564,4 ათასი ლარით.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 12588,9 ათასი ლარით.

დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 210,0 ათასი ლარით, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დეკემბრის თვის შემოსავალმა შეადგინა 34175,6 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 103,2 %-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 17480,6 ათასი ლარი, რაც დეკემბრის თვის გეგმის 101,8 %-ია,მათ შორის: დ.ღ.გ. საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 14302,1 ათასი ლარი გეგმა შესრულდა- 100.3 %-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 1235,8 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 106,7%-ით, ქონების(იურიდიულ და ფიზიკურ პირთა) გადასახადი 1942,7 ათ.ლარი გეგმა შესრულდა -103,5 %-ით.

სულ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩამორიცხულმა ტრანსფერის ოდენობამ შეადგინა -12514,7 ათასი ლარი.

სხვა (ადგილობრივი) შემოსავლებიდან თორმეტ თვეში მიღებულია 2941,8 ათასი ლარი, გეგმა 2775,6 ათასი ლარი, შესრულება (106,0%) კერძოდ: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებიდან - 161,3 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი -1060,0 ათასი ლარი, ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულია - 480,0 ათასი ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი - 198,0 ათასი ლარი, ბანკიდან მიღებული დეპოზიტი - 676,8 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი - 26,0 ათ.ლარი, ტრანსფერი რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული - 182,5 ათ.ლარი და სხვა შემოსავლები - 157,2 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალია - 1238,5 ათ.ლარი, კერძოდ შემოსავალი ძირითადი ქონების გაყიდვიდან - 113,3 ათ.ლარი და შემოსავალი მიწის გაყიდვიდან -1125,2 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 219,4%-ით.

ხოლო, რაც შეეხება 2022 წლის დეკემბრის თვის შემოსულობების შესრულების შედარებას 2021 წლის ანალოგიური პერიოდის ფაქტთან (22912,3 ათასი ლარი), შემოსულია 11263,3 ათასი ლარით მეტი.ზრდის ტემპი არის 149,2 %-ი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დეკემბრის თვის ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა - 32095,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 86,5%-ია (თორმეტი თვის გეგმა -37124,4ათასი ლარი).

ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურა (მუხლობრივ ჭრილში წლიურ გეგმასთან მიმართებით, ათას ლარებში):

N	დასახელება	გეგმა წლიური	ფაქტი წლიური	%
1	ხარჯები	19236,5	18086,3	94,1
2	შრომის ანაზღაურება	3061,3	2959,8	96,7
3	საქონელი და მომსახურება	3112,1	2742,3	88,1
4	სუბსიდია	8875,6	8737,0	98,4
5	სოციალური უზრუნველყოფა	1740,6	1722,7	99,0
6	სხვა ხარჯი	1816,3	1347,9	74,2
7	გრანტი	595,4	541,9	91,0
8	პროცენტი	35,2	34,7	98,6
9	არაფინანსური აქტივი	17817,8	13939,1	78,3
10	ვალდებულებების კლება	70,1	70,1	100,0
	სულ ჯამი	37124,4	32095,5	86,5

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით ხარჯებმა დარგების მიხედვით შეადგინა:

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯი შეადგენს

- **4203,6 ათას ლარს.**

2. ეკონომიკის განვითარება - 9345,6 ათასი ლარი.

3 . დასუფთავება და გარემოს დაცვა სულ - 2222,1 ათასი ლარი.

4. საბინაო კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია სულ - 4520,8 ათასი ლარი.

5 . განათლების დარგით გახარჯულია სულ -4982,3 ათასი ლარი.

6. კულტურა , რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – 4467,1 ათასი ლარი.

7. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - სულ - 2354,0 ათასი ლარი.

კომისიის წევრებმა იმსჯელა ზემოაღნიშნულზე და ეთანხმება წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 11 (თერთმეტი) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: / ლია ყურულაშვილი/

მერაბ უღრელიძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო საკითხთა
კომისია-საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი